

წინამდებარე დოკუმენტი მხოლოდ და მხოლოდ დოკუმენტირების ინსტრუმენტს წარმოადგენს და ინსტიტუტები მის შინაარსზე პასუხს არ აგებენ

►B ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის 2009/52/EC დირექტივა

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არალეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების დამსაქმებლებისთვის გათვალისწინებული სანქციებისა და ზომების მინიმალური სტანდარტების შესახებ

(OJ L 168, 30.6.2009, გვ.24)

შესწორებულია:

►C1 [ბეჭდვითი შეცდომა, OJ L 208, 3.8.2012, გვ. 22 \(2009/52\)](#)

▼B

ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის 2009/52/EC დირექტივა

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არალეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების დამსაქმებლებისთვის გათვალისწინებული სანქციებისა და ზომების მინიმალური სტანდარტების შესახებ

ევროპის პარლამენტი და ევროპის კავშირის საბჭო,
ითვალისწინებენ რა, ევროპის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას, კერძოდ, მისი 62-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს,
ითვალისწინებენ რა, ევროკომისიის წინადადებას,
ითვალისწინებენ რა, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრებას (¹),
ითვალისწინებენ რა, რეგიონების კომიტეტის მოსაზრებას (²),
მოქმედებენ რა, ზემოხსენებული ხელშეკრულების 251-ე მუხლის პროცედურების თანახმად (³),

ვინაიდან:

- (1) 2006 წლის 14 და 15 დეკემბერს გამართულ ევროკავშირის საბჭოს სხდომაზე დადგინდა, რომ ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგ თანამშრომლობა უნდა გააძლიერონ. სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ წევრი სახელმწიფოებისა და ევროკავშირის დონეზე საჭიროა არალეგალური დასაქმების წინააღმდეგ ზომების გაძლიერება.
- (2) ევროკავშირში არალეგალური იმიგრაციის ხელშემწყობ მთავარ ფაქტორს შესაბამისი სამართლებრივი სტატუსის გარეშე ევროკავშირში სამუშაოს მოპოვების შესაძლებლობა წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, არალეგალური იმიგრაციისა და ევროკავშირის ტერიტორიაზე არალეგალური დარჩენის წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევა ამ ფაქტორის გამანეიტრალებელ ზომებს უნდა მოიცავდეს.
- (3) ამ ზომების მთავარი ელემენტი უნდა იყოს დასაქმების ზოგადი აკრძალვა მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეთათვის, რომლებსაც ევროკავშირში ცხოვრების უფლება არ გააჩნიათ; გარდა ამისა, უნდა არსებობდეს სანქციები იმ დამსაქმებლების წინააღმდეგ, რომლებიც ამ ნორმას არღვევენ.
- (4) რადგან წინამდებარე დირექტივა მინიმალურ სტანდარტებს ადგენს, წევრ სახელმწიფოებს აქვთ სრული თავისუფლება, უფრო მკაცრი სანქციები და ზომები მიიღონ ან შეინარჩუნონ და დამსაქმებლებს კიდევ უფრო მკაცრი ვალდებულებები დააკისრონ.
- (5) წინამდებარე დირექტივა არ უნდა შეეხოს მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებს, რომლებიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში ლეგალურად ცხოვრობენ, იმის მიუხედავად, აქვთ თუ არა ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მუშაობის უფლება. გარდა ამისა, ეს დირექტივა არ უნდა შეეხოს იმ პირებს, რომლებსაც ევროპის თანამეგობრობის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლება აქვთ, როგორც ეს ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ 2006 წლის 15 მარტს მიღებული რეგულაციის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით არის განსაზღვრული (აღნიშნული რეგულაცია საზღვრებზე ადამიანების გადაადგილების წესების შესახებ ევროპის თანამეგობრობის კოდექსს (შენგენის სასაზღვრო კოდექსს) ადგენს ⁽⁴⁾). ამასთან, წინამდებარე დირექტივა არ უნდა შეეხოს მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებს, რომლებიც ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრულ სიტუაციაში იმყოფებიან, მაგალითად, იმ პირებს, რომლებიც წევრ სახელმწიფოში კანონიერად არიან დასაქმებულნი და რომლებიც მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციების მიერ ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოში მომსახურების გაწევის მიზნით არიან მივლინებულნი. წინამდებარე დირექტივა მოქმედებს იმ ეროვნული კანონების დარღვევის გარეშე, რომლებიც ქვეყანაში

ლეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას იმ შემთხვევაში კრძალავს, როდესაც აღნიშნულ სახელმწიფოში ბინადრობის ნებართვა ამ პირების დასაქმების უფლებას არ ითვალისწინებს.

- (6) წინამდებარე დირექტივის მიზნებისათვის, უნდა განისაზღვროს შესაბამისი ტერმინები. აღნიშნული განსაზღვრებები მხოლოდ წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის უნდა იქნას გამოყენებული.
- (7) ტერმინ „დასაქმების“ განსაზღვრება მის შემადგენელ ელემენტებს უნდა მოიცავდეს, კონკრეტულად კი, იმ აქტივობებს, რომელთა ანაზღაურება ხდება ან უნდა ხდებოდეს და რომლებიც დამსაქმებლისთვის ან მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება, იმის მიუხედავად, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს დამსაქმებელსა თუ დასაქმებულს შორის.
- (8) ტერმინ „დამსაქმებლის“ განსაზღვრებაში შეიძლება იგულისხმებოდეს იმ პირთა გაერთიანება, რომლებსაც სამართლებრივი აქტების განხორციელების შესაძლებლობა აქვთ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არავითარი სამართლებრივი სტატუსი არ გააჩნიათ.
- (9) ქვეყანაში არალეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების აღსაკვეთად, მესამე ქვეყნის მოქალაქის დასაქმებამდე, მათ შორის, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მესამე ქვეყნის მოქალაქე ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოში მივლინების მიზნით, ამ სახელმწიფოში კონკრეტული მომსახურების გასაწევად საქმდება, დამსაქმებლებმა უნდა შეამოწმონ, აქვს თუ არა მესამე ქვეყნის მოქალაქეს ამ სახელმწიფოში კანონიერად ცხოვრების ნებართვა ან ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტაცია, რომელიც დაამტკიცებს, რომ იგი კანონიერად იმყოფება ევროკავშირის იმ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელშიც მისი დასაქმება ხდება/იგეგმება.
- (10) იმისათვის რომ წევრ სახელმწიფოებს ყალბი დოკუმენტების შემოწმების საშუალება ჰქონდეთ, დამსაქმებლებმა კომპეტენტურ ორგანოებს მესამე ქვეყნის მოქალაქის დასაქმების ფაქტის შესახებ უნდა აცნობონ. ადმინისტრაციული ტვირთის შემცირების მიზნით, წევრ სახელმწიფოებს აქვთ უფლება, ამგვარი შეტყობინებების გადაცემა არსებული შეტყობინების სქემების ფარგლებში გაითვალისწინონ. წევრ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ უფლება, რომ დამსაქმებლებს შეტყობინების გამარტივებული პროცედურები დაუწესონ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული დამსაქმებლები ფიზიკური პირები არიან და დასაქმება მხოლოდ მათი კერძო მიზნებისთვის ხდება.
- (11) იმ დამსაქმებლებს, რომლებიც წინამდებარე დირექტივით დადგენილ ვალდებულებებს აკმაყოფილებენ, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში არალეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქის დასაქმებისთვის პასუხისმგებლობა არ უნდა

დაეკისროთ იმ შემთხვევაში, თუ კომპეტენტური ორგანო შემდგომში დაადგენს, რომ დასაქმებულის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი რეალურად გაყალბებული ან არასწორად გამოყენებული იყო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დამსაქმებელმა იცოდა დოკუმენტის გაყალბების შესახებ.

(12) დამსაქმებლების მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობის მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა ქვეყანაში ბინადრობის ნებართვების განახლების შესახებ განცხადებები დროულად უნდა განიხილონ და დააკმაყოფილონ.

(13) ზოგადი აკრძალვის ამოქმედებისა და დარღვევების აღკვეთის მიზნით, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა დამსაქმებლებს შესაბამისი სანქციები უნდა დაუწესონ. ამაში იგულისხმება ფინანსური სანქციები და ევროკავშირის ტერიტორიაზე არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქეების უკან დაბრუნების ხარჯების ნაწილობრივი დაფარვა; გარდა ამისა, იმ დამსაქმებლებისთვის, რომლებიც ფიზიკურ პირებს წარმოდგენენ, ფინანსური სანქციები შეიძლება შემცირდეს იმ შემთხვევაში, თუ დასაქმება მათი პირადი მიზნებისთვის ხდება.

(14) ნებისმიერ შემთხვევაში, დამსაქმებელმა მესამე ქვეყნის მოქალაქეს მის მიერ შესრულებული სამუშაოსთვის ანაზღაურება მთლიანად უნდა გადაუხადოს. გარდა ამისა, დამსაქმებელმა ყველა გადასახადი (მათ შორის, სოციალური გადასახადი) უნდა დაფაროს. თუ სამუშაოს ანაზღაურების ოდენობის დადგენა შეუძლებელია, მაშინ იგი, სულ მცირე, იმ თანხას უნდა ფარავდეს, რომელიც მინიმალური ანაზღაურების შესახებ კანონით, კოლექტიური შეთანხმებებით ან შესაბამის პროფესიაში დადგენილი პრაქტიკით არის განსაზღვრული. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, დამსაქმებელმა უნდა დაფაროს ყველა ხარჯი, რომელიც უკავშირდება აღნიშნული ანაზღაურების იმ ქვეყანაში გაგზავნას, რომელშიც მესამე ქვეყნის მოქალაქე დააბრუნეს. იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი აღნიშნულ პირს დაგვიანებულ ანაზღაურებას არ გადაუხდის, ევროკავშირის ამ ვალდებულების შესრულება დამსაქმებლის მაგივრად წევრ სახელმწიფოს არ დაეკისრება.

(15) მესამე ქვეყნის უკანონოდ დასაქმებულმა მოქალაქემ უკანონო შრომითი ურთიერთობის ან ანაზღაურების დროულად ან დაგვიანებით მიღების ან დამსაქმებლის ან იურიდიული პირის მიერ სოციალური ან სხვა სახის გადასახადების დაფარვის შედეგად კონკრეტულ წევრ სახელმწიფოში შესვლის, დარჩენისა და შრომის ბაზარზე წვდომის უფლება არ უნდა მიიღოს.

(16) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საჩივრის წარდგენა შესაძლებელი იყოს და არსებობდეს ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ამოღებული დაგვიანებული ანაზღაურების გადაცემას მესამე ქვეყნის შესაბამისი

მოქალაქეებისთვის. წევრ სახელმწიფოებს არ ევალებათ მესამე ქვეყნებში საკუთარი მისიების ან წარმომადგენლობების ამგვარ მექანიზმებში ჩართვა. საჩივრის წარდგენის ხელშემწყობი ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბების დროს (იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული კანონმდებლობა აღნიშნულს უკვე არ ითვალისწინებს), წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ, რამდენად შესაძლებელი ან მომგებიანი იქნება შესაბამისი კომპეტენტური ორგანოსთვის დამსაქმებლის წინააღმდეგ დაგვიანებული ანაზღაურების ამოღების მიზნით საქმის აღძვრის უფლების მინიჭება.

(17) წევრმა სახელმწიფოებმა დამსაქმებელსა და უკანონოდ დასაქმებულ მესამე ქვეყნის მოქალაქეს შორის შრომითი ურთიერთობის არანაკლებ სამთვიანი პერიოდის არსებობა უნდა დაუშვან, რათა დამსაქმებელს მტკიცებულების ტვირთი, სულ მცირე, ამ პერიოდისთვის დაეკისროს. გარდა ამისა, შრომითი ურთიერთობის არსებობისა და ამ ურთიერთობის ხანგრძლივობის დამტკიცების საშუალება დასაქმებულსაც უნდა მიეცეს.

(18) წევრმა სახელმწიფოებმა დამსაქმებლების წინააღმდეგ სხვა სანქციების დაწესების შესაძლებლობა უნდა განიხილონ, მათ შორის: სოციალური დახმარებებისა და სუბსიდიების, მათ შორის, სოფლის მეურნეობის სუბსიდიების ნაწილობრივ ან მთლიანად მოხსნა, საჯარო შესყიდვების პროცედურებიდან გამორიცხვა და უკვე გაცემული სოციალური დახმარებებისა და სუბსიდიების, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ ადმინისტრირებული ევროკავშირის დაფინანსების ნაწილობრივ ან მთლიანად უკან ამოღება. წევრ სახელმწიფოებს აქვთ უფლება, არ გამოიყენონ აღნიშნული სანქციები იმ დამსაქმებლების წინააღმდეგ, რომლებიც ფიზიკურ პირებს წარმოადგენენ და რომლებმაც მესამე ქვეყნის მოქალაქეები მათი პირადი მიზნებისთვის დაასაქმეს.

(19) წინამდებარე დირექტივა, კონკრეტულად კი, მისი მე-7, მე-10 და მე-12 მუხლები ევროპული გაერთიანების საერთო ბიუჯეტის შესახებ ევროკავშირის საბჭოს მიერ 2002 წლის 25 ივნისს მიღებული #1605/2002 ფინანსური რეგულაციის (EC, ევრატომი) დარღვევის გარეშე იმოქმედებს (⁵).

(20) გარკვეულ სფეროებში ქვეკონტრაქტების დადების სიხშირიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ფინანსური სანქციების დაფარვა, დამსაქმებელთან ერთად ან მის მაგივრად, სულ მცირე, იმ კონტრაქტორს დაეკისროს, რომლის უშუალო ქვეკონტრაქტორსაც კონკრეტული დამსაქმებელი წარმოადგენს. კონკრეტულ შემთხვევებში, ამ ჯარიმების დაფარვა, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში უკანონოდ მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქის დამსაქმებელთან ერთად ან მის მაგივრად, შეიძლება სხვა კონტრაქტორებსაც დაეკისროთ. დაგვიანებული ანაზღაურების დაფარვა, რაც წინამდებარე დირექტივის შესაბამისი დებულებებით რეგულირდება,

კანონმდებლობით ან კოლექტიური შეთანხმებებით რეგულირებული ეროვნული დღესასწაულებისა და სოციალურ ფონდებში შენატანების განხორციელებასაც უნდა მოიცავდეს.

(21) გამოცდილება აჩვენებს, რომ სანქციების არსებული სისტემები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არალეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების აკრძალვის სრული ეფექტურობისთვის საკმარისი არ არის. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი დამსაქმებლის შესაჩერებლად მხოლოდ ადმინისტრაციული სანქციები შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი. ამ ნორმის აღსრულების უზრუნველსაყოფად შესაძლებელი და საჭიროა სისხლისსამართლებლივი სანქციების გატარებაც.

(22) აქედან გამომდინარე, აღნიშნული ზოგადი აკრძალვის სრულად აღსრულების მიზნით, სერიოზული შემთხვევებისთვის, როგორცაა, მაგალითად, ამ ნორმის განმეორებით დარღვევა, მესამე ქვეყნის მოქალაქეების დიდი რაოდენობის უკანონო დასაქმება, განსაკუთრებით ექსპლუატატორული სამუშაო პირობები, შემთხვევები, როდესაც დამსაქმებელმა იცის, რომ დასაქმებული ტრეფიკინგის მსხვერპლია და არასრულწლოვნის უკანონო დასაქმება, კიდევ უფრო მტკიცე სანქციების შემოღებაა საჭირო. წინამდებარე დირექტივა წევრ სახელმწიფოებს საკუთარ კანონმდებლობებში ამგვარი დარღვევებისთვის სისხლის სამართლის სანქციების დაწესებას ავალდებულებს. წინამდებარე დირექტივა კონკრეტულ შემთხვევებში ამგვარი სასჯელების ან ნებისმიერი სხვა კანონის აღსრულების სისტემების გამოყენებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს არ ადგენს.

(23) წინამდებარე დირექტივის ფარგლებში სერიოზულად მიჩნეულ ყველა შემთხვევაში, აღნიშნული ნორმის დარღვევა ევროპის თანამეგობრობის მთელ ტერიტორიაზე სისხლის სამართლის დანაშაულად უნდა ჩაითვალოს მაშინ, როდესაც აღნიშნული დარღვევის ჩადენა განზრახ ხდება. წინამდებარე დირექტივის დებულებები, რომლებიც სისხლის სამართლის დანაშაულებს ეხება, ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ ევროკავშირის საბჭოს 2002 წლის 19 ივლისის #2002/629/JHA ჩარჩო გადაწყვეტილების დარღვევის გარეშე იმოქმედებს ⁽⁶⁾.

(24) სისხლის სამართლის დანაშაული ეფექტური, პროპორციული და პრევენციული სასჯელებით უნდა ისჯებოდეს. წინამდებარე დირექტივის ფარგლებში ეფექტური, პროპორციული და პრევენციული სასჯელების განხორციელების ვალდებულება თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ საკუთარ ტერიტორიაზე სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და სამართალწარმოების ორგანიზებაზე გავლენას არ უნდა ახდენდეს.

(25) წინამდებარე დირექტივაში აღნიშნული სისხლის სამართლის დანაშაულებისთვის პასუხისმგებლობა ასევე შეიძლება დაეკისროთ იურიდიულ პირებსაც, რადგან საკმაოდ ბევრი დამსაქმებელი იურიდიულ პირს წარმოადგენს. წინამდებარე დირექტივის დებულებები წევრ სახელმწიფოებს იურიდიული პირების მიმართ სისხლისსამართლებლივი პასუხისმგებლობის შემოღებას არ ავალდებულებს.

(26) წინამდებარე დირექტივის აღსრულების ხელშესაწყობად უნდა არსებობდეს საჩივრის წარდგენის ეფექტური მექანიზმები, რომელთა მეშვეობით მესამე ქვეყნის მოქალაქეებს საჩივრების პირდაპირ ან მესამე მხარის, მაგალითად, პროფკავშირების ან სხვა ორგანიზაციების მეშვეობით წარდგენის საშუალება ექნებათ. ამგვარი საჩივრების წარდგენის დროს, აღნიშნული მესამე მხარე დაცული უნდა იყოს იმ შესაძლო სანქციებისგან, რომლებიც უკანონო ცხოვრების ხელშეწყობის ამკრძალავი წესების ფარგლებში მოქმედებს.

(27) საჩივრის მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, წევრ სახელმწიფოებს შეიძლება ჰქონდეთ საშუალება, ბინადრობის მოკლევადიანი ნებართვები მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებზე გასცენ, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე სამუშაო პირობებში მუშაობდნენ ან უკანონოდ დასაქმებული არასრულწლოვნები არიან და რომლებიც დამსაქმებლის წინააღმდეგ მიმართულ სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობენ. ამ ნებართვების ხანგრძლივობა შესაბამისი სამართალწარმოების ხანგრძლივობაზე იქნება დამოკიდებული. აღნიშნული ნებართვები დაახლოებით იმავე პირობებით უნდა იქნას გაცემული, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეების მიმართ ევროკავშირის საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის #2004/81/EC დირექტივის ფარგლებში გამოიყენება. აღნიშნული დირექტივა ეხება ბინადრობის ნებართვებს, რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქე ტრეფიკინგის მსხვერპლებზე ან უკანონო იმიგრაციის ხელშემწყობი ქმედებების მონაწილე პირებზე გაიცემა, რომლებიც კომპეტენტურ ორგანოებთან თანამშრომლობენ ⁽⁷⁾.

(28) წინამდებარე დირექტივის დამაკმაყოფილებელ დონეზე აღსრულების უზრუნველსაყოფად და ევროკავშირის წევრ სხვადასხვა სახელმწიფოში აღსრულებასთან დაკავშირებით არსებული სხვაობის შესამცირებლად, წევრმა სახელმწიფოებმა საკუთარ ტერიტორიაზე ეფექტური და სათანადო შემოწმებები უნდა ჩაატარონ და ამ შემოწმებების შედეგები ევროკომისიას უნდა მიაწოდონ.

(29) ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ყოველწლიურად უნდა დაადგინონ შემოწმების სამიზნე რაოდენობა საქმიანობის იმ სფეროებში, რომლებშიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არალეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების დასაქმება ყველაზე ხშირად ხდება.

- (30) წინამდებარე დირექტივის აღსრულების მიზნით ჩატარებული შემოწმების ეფექტურობისთვის, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი ეროვნული კანონმდებლობა შესაბამის ორგანოებს ამგვარი შემოწმების ჩატარებისთვის სათანადო ძალაუფლებას ანიჭებდეს; წინამდებარე დირექტივის ეფექტური განხორციელებისთვის, მათ ასევე უნდა უზრუნველყონ უკანონო დასაქმების შესახებ ინფორმაციის, მათ შორის, წინა შემოწმებების შედეგების შეგროვება და დამუშავება; მათ ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ აღნიშნული შემოწმებებისთვის საჭირო რაოდენობისა და შესაბამისი უნარების მქონე პერსონალი დაინიშნოს.
- (31) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ წინამდებარე დირექტივის განხორციელების მიზნით ჩატარებულმა შემოწმებამ ხარისხობრივი ან რაოდენობრივი თვალსაზრისით ზეგავლენა არ მოახდინოს იმ შემოწმებებზე, რომლებიც დასაქმებისა და სამუშაო პირობების შესაფასებლად ხორციელდება.
- (32) ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოში მივლინებული მესამე ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოების იმ ორგანოებს, რომლებიც შემოწმებას ატარებენ, შეუძლიათ, ისარგებლონ ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის შესაძლებლობებით, რომლებიც სხვა ქვეყნებში მომსახურების გაწევის მიზნით პირების მივლინების შესახებ ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 1996 წლის 16 დეკემბრის 96/71/EC დირექტივაშია მოცემული ⁽⁸⁾. შედეგად, წევრი სახელმწიფოები შეძლებენ იმის დადგენას, არის თუ არა მესამე ქვეყნის კონკრეტული მოქალაქე კანონიერად დასაქმებული წარმოშობის ქვეყანაში, რომელიც ევროკავშირის წევრია.
- (33) წინამდებარე დირექტივა წარმოადგენს იმ ზომების დამხმარე ინსტრუმენტს, რომლებიც არადეკლარირებული მუშაობისა და ექსპლუატაციის წინააღმდეგ არის მიმართული.
- (34) უკეთესი კანონშემოქმედების შესახებ უწყებათშორისი შეთანხმების 34-ე პუნქტის შესაბამისად ⁽⁹⁾, სასურველია, რომ ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა, მათი და ევროპის გაერთიანების ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი ცხრილები შეადგინონ, რომლებშიც წინამდებარე დირექტივასა და ამ დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის ზომებს შორის თანაფარდობა იქნება აღწერილი და ეს ცხრილები გამოაქვეყნონ.
- (35) წინამდებარე დირექტივის განხორციელებისას პერსონალური მონაცემების ნებისმიერი სახით დამუშავება პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანების დაცვისა და ამგვარი მონაცემების თავისუფლად მოძრაობის შესახებ ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ 1995 წლის 24 ოქტომბერს მიღებული 95/46/EC დირექტივის შესაბამისად უნდა მოხდეს ⁽¹⁰⁾.

(36) რადგან წინამდებარე დირექტივის მიზნის მიღწევა, კერძოდ, დასაქმების ფაქტორის აღკვეთის მეშვეობით არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა წევრი სახელმწიფოების მიერ სრულად ვერ მიიღწევა და, ამ დირექტივის მასშტაბისა და შედეგებიდან გამომდინარე, მისი მიღწევა ევროპის გაერთიანების დონეზე უფრო ეფექტურად არის შესაძლებელი, ევროპის გაერთიანებას ევროკავშირის ხელშეკრულების მე-5 მუხლში მოცემული სუბსიდირების პრინციპის შესაბამისი ზომების მიღება შეუძლია. იმავე მუხლში მოცემული პროპორციულობის პრინციპის მიხედვით, წინამდებარე დირექტივა ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ფარგლებს არ სცდება.

(37) წინამდებარე დირექტივა პატივს სცემს იმ ფუნდამენტურ უფლებებს და იცავს იმ პრინციპებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის კონვენციასა და ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიაშია მოცემული. კონკრეტულად, ეს გულისხმობს, რომ წინამდებარე დირექტივის განხორციელებისას ბიზნესის წარმოების თავისუფლება, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი, დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი, ეფექტური კომპენსაციის მიღების უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება და სისხლის სამართლის დანაშაულისა და სასჯელის კანონიერებისა და პროპორციულობის პრინციპები ქარტიის მე-16, მე-20, 21-ე, 47-ე და 49-ე მუხლების შესაბამისად უნდა იქნას დაცული.

(38) გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის პოზიციის შესახებ ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლების შესაბამისად, რომელიც ევროკავშირის შეთანხმებასა და ევროპის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას ერთვის თან და ამ ოქმის მე-4 მუხლის დარღვევის გარეშე, აღნიშნული წევრი სახელმწიფოები წინამდებარე დირექტივის მიღებაში მონაწილეობას არ იღებენ და მისი შესრულება არ ევალებათ.

(39) დანიის პოზიციის შესახებ ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლების შესაბამისად, რომელიც ევროკავშირის შეთანხმებასა და ევროპის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებას ერთვის თან და ამ ოქმის მე-4 მუხლის დარღვევის გარეშე, აღნიშნული წევრი სახელმწიფო წინამდებარე დირექტივის მიღებაში მონაწილეობას არ იღებს და მისი შესრულება არ ევალება.

მიიღო შემდეგი დირექტივა:

მუხლი 1

საგანი და ფარგლები

არალეგალურ იმიგრაციასთან ბრძოლის მიზნით, წინამდებარე დირექტივა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არალეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას კრძალავს.

ამ მიზნით, წინამდებარე დირექტივაში მოცემულია იმ სანქციებისა და ზომების მინიმალური სტანდარტები, რომლებიც წევრმა სახელმწიფოებმა ამ ნორმის დამრღვევი დამსაქმებლების წინააღმდეგ უნდა გაატარონ.

მუხლი 2

განმარტებები

წინამდებარე დირექტივის მიზნებიდან გამომდინარე, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს შემდეგი მნიშვნელობა აქვს:

(ა) „მესამე ქვეყნის მოქალაქე“ ნიშნავს ნებისმიერ ისეთ პირს, რომელიც ევროკავშირის ხელშეკრულების მე-17 მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, ევროკავშირის მოქალაქე არ არის და რომელსაც შენგენის სასაზღვრო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ევროპის გაერთიანების ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების უფლება არ აქვს;

(ბ) „ევროკავშირის ტერიტორიაზე არალეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქე“ გულისხმობს მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფება და რომელიც წევრ სახელმწიფოში ბინადრობისთვის დაწესებულ პირობებს არ ან აღარ აკმაყოფილებს;

(გ) „დასაქმება“ ისეთი აქტივობების განხორციელებას გულისხმობს, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული ან დამსაქმებლის მიერ დადგენილი პრაქტიკით ან მისი ხელმძღვანელობით მიმდინარე შრომის ან სამუშაოს ნებისმიერ ფორმას მოიცავს;

(დ) „უკანონო დასაქმება“ გულისხმობს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში არალეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქის დასაქმებას;

(ე) „დამსაქმებელი“ გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, მათ შორის, დროებითი დასაქმების სააგენტოებს, რომლისთვისაც ან რომლის ხელმძღვანელობით და/ან ზედამხედველობით ხდება დასაქმება;

(ვ) „ქვეკონტრაქტორი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც მანამდე დადებული კონტრაქტის ნაწილობრივ ან მთლიანად განხორციელება ეკისრება;

(ზ) „იურიდიული პირი“ ნებისმიერ იურიდიულ ერთეულს გულისხმობს, რომელმაც აღნიშნული სტატუსი შესაბამისი ეროვნული კანონის ფარგლებში მიიღო, გარდა

სახელმწიფოებისა, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი საჯარო ორგანოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისა;

(თ) „დროებითი დასაქმების სააგენტო“ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს გულისხმობს, რომელიც მის კლიენტებთან მათი კონკრეტულ ორგანიზაციებში/კომპანიებში დროებითი დასაქმების მიზნით ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში დასაქმების ან შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ კონტრაქტებს აფორმებს;

(ი) „განსაკუთრებით ექსპლუატატორული სამუშაო პირობები“ გულისხმობს ისეთ სამუშაო პირობებს, მათ შორის, გენდერულ ან სხვა სახის დისკრიმინაციაზე დაფუძნებულ პირობებს, რომლებიც კანონიერად დასაქმებული ადამიანების სამუშაო პირობებისგან აშკარად განსხვავდება, დასაქმებულების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს და ადამიანის ღირსებას ლახავს;

(კ) „ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში არალეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების შრომის ანაზღაურება“ გულისხმობს ხელფასს, გასამრჯელოს ან ნებისმიერ სხვა სახის (ფულად ან ნატურალურად გაცემულ) ანაზღაურებას, რომელსაც დასაქმებული მის მიერ გაწეული სამუშაოსთვის პირდაპირ ან ირიბად იღებს საკუთარი დამსაქმებლისგან და რომელიც იმ ანაზღაურების ექვივალენტურია, რომელსაც შესაბამისი პროფესიის მუშაკები კანონიერად დასაქმების შემთხვევაში მიიღებდნენ.

მუხლი 3

უკანონო დასაქმების აკრძალვა

1. წევრმა სახელმწიფოებმა საკუთარ ტერიტორიაზე არალეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების დასაქმება უნდა აკრძალონ.
2. აღნიშნული აკრძალვის დარღვევა წინამდებარე დირექტივით განსაზღვრული სანქციებითა და ზომებით დასჯადი უნდა იყოს.
3. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაწყვიტონ, რომ წინამდებარე მუხლის 1-ელ პუნქტში მოცემული აკრძალვის ნორმა არ გამოიყენონ საკუთარ ტერიტორიაზე არალეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების მიმართ, რომელთა გაძევება გადავადებულია და რომლებსაც ამ წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის მიხედვით მუშაობის უფლება აქვთ.

მუხლი 4

დამსაქმებლების მოვალეობები

1. ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა დამსაქმებლებს შემდეგი მოვალეობები უნდა დააკისრონ:
 - (ა) დასაქმებამდე, დამსაქმებელმა მესამე ქვეყნის მოქალაქეს ქვეყანაში კანონიერი ბინადრობის ნებართვის ან სხვა მსგავსი დოკუმენტაციის წარმოდგენა უნდა მოსთხოვოს;
 - (ბ) კონკრეტული პირის დასაქმების პერიოდში, დამსაქმებელმა ამ უკანასკნელის ქვეყანაში კანონიერი ბინადრობის ნებართვის ან მსგავსი დოკუმენტაციის ასლი ან ჩანაწერი უნდა შეინახოს, რათა წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ შემოწმების ჩატარების შემთხვევაში მათ აღნიშნული ასლების/ჩანაწერების ნახვის საშუალება ჰქონდეთ;
 - (გ) დამსაქმებელმა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს მესამე ქვეყნის მოქალაქის დასაქმების დაწყების შესახებ უნდა აცნობოს იმ პერიოდში, რომელიც ამ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით არის განსაზღვრული;
2. წევრ სახელმწიფოს ამ მუხლის 1-ელი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში აღნიშნული შეტყობინების გამარტივებული პროცედურების დადგენა შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი ფიზიკური პირია და დასაქმება მისი პირადი მიზნებისთვის ხდება.
წევრ სახელმწიფოს ამ მუხლის 1-ელი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში აღნიშნული ვალდებულების გაუქმება შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებულს გრძელვადიანი ბინადრობის მქონე მესამე ქვეყნის მოქალაქეების შესახებ ევროკავშირის საბჭოს 2003 წლის 25 ნოემბრის 2003/109/EC დირექტივის ფარგლებში ამ წევრ სახელმწიფოში გრძელვადიანი ბინადრობის უფლება აქვს მინიჭებული (¹¹).
3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იმ დამსაქმებლებს, რომლებმაც წინამდებარე მუხლის 1-ელ პუნქტში მოცემული ვალდებულებები შეასრულეს, მე-3 მუხლში აღნიშნული აკრძალვის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა არ დაეკისროთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დამსაქმებლისთვის ცნობილი იყო, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქის მიერ წარმოდგენილ ქვეყანაში ბინადრობის ნებართვა ან სხვა მსგავსი დოკუმენტაცია ყალბი იყო.

მუხლი 5

ფინანსური სანქციები

1. წევრმა სახელმწიფოებმა მე-3 მუხლში აღნიშნული აკრძალვის დარღვევისთვის დამსაქმებლების წინააღმდეგ ეფექტური, პროპორციული და პრევენციული სანქციების გასატარებლად აუცილებელი ზომები უნდა მიიღონ.

2. მე-3 მუხლში მოცემული აკრძალვის დარღვევისთვის შემდეგი სახის სანქციები უნდა იქნას გატარებული:

(ა) ფინანსური სანქციები, რომელთა ოდენობა მესამე ქვეყნის უკანონოდ დასაქმებული მოქალაქეების რაოდენობასთან ერთად გაიზრდება;

(ბ) მესამე ქვეყნის უკანონოდ დასაქმებული მოქალაქეების უკან დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, იმ შემთხვევებში, როდესაც ამ პირების უკან დაბრუნებასთან დაკავშირებული პროცედურების ტარდება. თუმცა, აღნიშნულის სანაცვლოდ, წევრ სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ, უკან დაბრუნებასთან დაკავშირებული საშუალო ხარჯები „ა“ ქვეპუნქტში მოცემულ ფინანსურ სანქციებში გაითვალისწინონ.

3. წევრ სახელმწიფოებს ფინანსური სანქციების შემცირება შეუძლიათ იმ შემთხვევაში, როდესაც დამსაქმებელი წარმოადგენს ფიზიკურ პირს, რომელიც აღნიშნულ წევრ სახელმწიფოში უკანონოდ მცხოვრებ მესამე ქვეყნის მოქალაქეს საკუთარი პირადი მიზნებისთვის ასაქმებს და როდესაც განსაკუთრებით ექსპლუატატორულ სამუშაო პირობებს არ აქვს ადგილი.

მუხლი 6

დაგვიანებული ანაზღაურების გადახდა დამსაქმებლების მიერ

1. მე-3 მუხლში მოცემული აკრძალვის თითოეული დარღვევისთვის წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ დამსაქმებელმა:

(ა) მესამე ქვეყნის უკანონოდ დასაქმებულ მოქალაქეს ნებისმიერი დაგვიანებული გასამრჯელო გადაუხადოს. უნდა ჩაითვალოს, რომ მხარეებს შორის შეთანხმებული ანაზღაურება, სულ მცირე, იმ თანხას უდრის, რომელიც მინიმალური ანაზღაურების შესახებ შესაბამისი კანონებით, კოლექტიური შეთანხმებებით ან შესაბამის პროფესიაში დადგენილი პრაქტიკით არის განსაზღვრული, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც დამსაქმებელს ან დასაქმებულს საწინააღმდეგოს დამტკიცება შეუძლია, შესაძლებლობის ფარგლებში, ხელფასებთან დაკავშირებული სავალდებულო ეროვნული დებულებების დაცვით;

(ბ) უნდა გადაიხადოს ის თანხა, რომელიც იმ გადასახადების ან სოციალური შენატანების ტოლფასი იქნება, რომელსაც იგი მესამე ქვეყნის მოქალაქის კანონიერად დასაქმების შემთხვევაში გადაიხდიდა, მათ შორის, ამ გადასახადების გადახდის დაგვიანებისთვის დაწესებული საჯარიმო გადასახადებისა და შესაბამისი ადმინისტრაციული ჯარიმების ჩათვლით;

(გ) საჭიროების შემთხვევაში, უნდა დაფაროს ყველა ის ხარჯი, რომელიც დაგვიანებული გასამრჯელოს იმ ქვეყანაში გასაგზავნად არის საჭირო, რომელშიც მესამე ქვეყნის მოქალაქე დაბრუნდა ან დააბრუნეს.

2. 1-ელი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესრულებისთვის საჭირო ეფექტური პროცედურების ხელმისაწვდომობისათვის და, ასევე, წინამდებარე დირექტივის მე-13 მუხლის გათვალისწინებით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ისეთი ზომების მიღება, რომლებიც:

(ა) ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით, უკანონოდ დასაქმებულ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, აღნიშნული მოქალაქეების დაბრუნების შემთხვევების ჩათვლით, მათი დამსაქმებლის წინააღმდეგ გადაუხდელი ანაზღაურების გამო საჩივრის შეტანისა და, საბოლოოდ, მის წინააღმდეგ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საშუალებას მისცემს; ან

(ბ) უკანონოდ დასაქმებულ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოსთვის მიმართვისა და დაგვიანებული გასამრჯელოს ანაზღაურებისთვის საჭირო პროცედურების დაწყების მოთხოვნის საშუალებას მისცემს, იმ შემთხვევაში, როდესაც ამ სახელმწიფოს კანონმდებლობა ამგვარი მიმართვის გაკეთების საშუალებას იძლევა, ისე, რომ მათ ამისთვის ცალკე საჩივრის შეტანა არ დასჭირდეთ.

უკანონოდ დასაქმებული მესამე ქვეყნის მოქალაქეები, უკან დაბრუნებამდე, სისტემატურად და ობიექტურად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი წინამდებარე პუნქტითა და მე-13 მუხლით გათვალისწინებული უფლებების შესახებ.

3. 1-ელი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესრულებისთვის, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩათვალონ, რომ მხარეებს შორის შრომითი ურთიერთობები არანაკლებ სამი თვის მანძილზე გრძელდებოდა, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც დამსაქმებელს ან დასაქმებულს საწინააღმდეგოს დამტკიცება შეუძლიათ.

4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ იმ აუცილებელი მექანიზმების არსებობა, რომლებიც უკანონოდ დასაქმებულ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული დაგვიანებული ანაზღაურების მიღების საშუალებას მისცემს. აღნიშნული ანაზღაურება მე-2 პუნქტში ნახსენები საჩივრების ფარგლებში უნდა მოხდეს, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ამ მოქალაქეების უკან დაბრუნება ხდება ან მოხდა.

5. იმ შემთხვევებში, როდესაც მე-13 მუხლის მე-4 პუნქტში ნახსენები მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვების გაცემა ფიქსირდება, წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთ კანონმდებლობაში ის პირობები უნდა განსაზღვრონ, რომელთა ფარგლებშიც ამ

ნებართვების გახანგრძლივება შესაძლებელია მანამ, სანამ მესამე ქვეყნის მოქალაქე დაგვიანებული ანაზღაურების მიღებას შეძლებს ისე, როგორც ეს წინამდებარე მუხლის 1-ელ პუნქტშია განსაზღვრული.

მუხლი 7

სხვა ზომები

1. წევრმა სახელმწიფოებმა აუცილებელი ზომები უნდა მიიღონ, რათა, საჭიროების შემთხვევაში, დამსაქმებლების წინააღმდეგ შემდეგი ზომებიც გატარდეს:
 - (ა) არაუმეტეს ხუთი წლის ვადით სოციალური დახმარებებისა და სუბსიდიების, მათ შორის, წევრი სახელმწიფოების მიერ ადმინისტრირებული ევროკავშირის დაფინანსების, ნაწილობრივ ან მთლიანად მოხსნა;
 - (ბ) არაუმეტეს ხუთი წლის ვადით კეთილმოწყობის სამუშაოების, საჯარო შესყიდვებისა და საჯარო მომსახურების კონტრაქტების დადებასთან დაკავშირებული პროცედურების კოორდინირების შესახებ ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2004 წლის 31 მარტის 2004/18/EC დირექტივით განსაზღვრულ საჯარო კონტრაქტებში მონაწილეობის აკრძალვა;
 - (გ) უკანონო დასაქმების ფაქტის აღმოჩენამდე არაუმეტეს 12 თვის მანძილზე გაცემული სოციალური დახმარებების და სუბსიდიების, მათ შორის, კონკრეტული წევრი სახელმწიფოს მიერ ადმინისტრირებული ევროკავშირის დაფინანსების, ნაწილობრივ ან მთლიანად უკან ამოღება;
 - (დ) იმ დაწესებულებების დროებით ან სამუდამოდ დახურვა, რომლებიც უკანონო დასაქმების აკრძალვის დასარღვევად გამოიყენებოდა ან კონკრეტული ბიზნეს აქტივობის განხორციელებისთვის გაცემული ლიცენზიის დროებით ან სამუდამოდ ჩამორთმევა, თუ ამას დარღვევის სერიოზულობა ამართლებს.
2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, წინამდებარე მუხლის 1-ელი პუნქტი არ გამოიყენონ იმ შემთხვევებში, როდესაც დამსაქმებლები ფიზიკური პირები არიან და დასაქმება მათი პირადი მიზნებისთვის ხორციელდება.

მუხლი 8

ქვეკონტრაქტების დადება

1. იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი ქვეკონტრაქტორია და ეროვნული კანონმდებლობის იმ დებულებების შეფერხების გარეშე, რომლებიც რეგრესის უფლებას ეხება ან სოციალური უზრუნველყოფის სფეროს არეგულირებს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იმ კონტრაქტორმა, რომლის უშუალო ქვეკონტრაქტორსაც

დამსაქმებელი წარმოადგენს, დამსაქმებელთან ერთად ან მის მაგივრად დაფაროს შემდეგი თანხები:

- (ა) მე-5 მუხლის ფარგლებში დაწესებული ნებისმიერი ფინანსური სანქცია;
 - (ბ) ნებისმიერი სახის საბანკო გადახდი, რომლებიც მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებითაა განსაზღვრული.
2. იმ შემთხვევაში, როდესაც დამსაქმებელი ქვეკონტრაქტორია, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მთავარ კონტრაქტორს ან ნებისმიერ შუამავალ ქვეკონტრაქტორს (იმ შემთხვევაში, თუ მათ იცოდნენ, რომ დამსაქმებელი ქვეკონტრაქტორი მესამე ქვეყნის მოქალაქეებს უკანონოდ ასაქმებდა) წინამდებარე მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული თანხების გადახდა დაეკისროთ, დამსაქმებელი ქვეკონტრაქტორის ან იმ კონტრაქტორის მიერ გადახდილ თანხებთან ერთად ან მათ მაგივრად, რომლის უშუალო ქვეკონტრაქტორია დამსაქმებელი.
3. იმ კონტრაქტორს, რომელმაც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მუხლები ზედმიწევნით შეასრულა, წინამდებარე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.
4. წევრ სახელმწიფოებს აღნიშნულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით თავიანთ კანონმდებლობაში კიდევ უფრო მკაცრი დებულებების შემოღება შეუძლიათ.

მუხლი 9

სისხლის სამართლის დანაშაული

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მე-3 მუხლში მოცემული აკრძალვის დარღვევა სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, როდესაც ეს დარღვევა შეგნებულად ხდება ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული შემდეგი გარემოებების არსებობისას:
- (ა) დარღვევა გრძელდება ან მუდმივად მეორდება;
 - (ბ) ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში არალეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების დიდი რაოდენობის დასაქმება ერთდროულად ხდება;
 - (გ) დარღვევას თან ახლავს განსაკუთრებით ექსპლუატატორული სამუშაო პირობების არსებობა;
 - (დ) დარღვევას ისეთი დამსაქმებელი სჩადის, რომლის წინააღმდეგ 2002/629/JHA ჩარჩო გადაწყვეტილების შესაბამისად დადგენილი დანაშაულისთვის ბრალდება არ წარუდგენიათ და მისი ამ ბრალდებით გასამართლება არ მომხდარა, მაგრამ რომელიც

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში არალეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქის შრომას ან მომსახურებას იყენებს ისე, რომ დამსაქმებლისთვის ცნობილია, რომ აღნიშნული პირი ტრეფიკინგის მსხვერპლია;

(ე) დარღვევა არასრულწლოვნის უკანონოდ დასაქმებას ეხება.

- წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ წინამდებარე მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული განზრახ ქმედებების ხელშეწყობა, დახმარება და წაქეზება სისხლის სამართლის ფარგლებში დასჯადი იყოს.

მუხლი 10

სისხლისსამართლებლივი სასჯელი

- წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც მე-9 მუხლში აღნიშნულ სისხლის სამართლის დანაშაულს სჩადიან, ეფექტური, პროპორციული და პრევენციული სასჯელები მიესადაგოთ.
- თუ ამას კანონის ზოგადი პრინციპები არ კრძალავს, წინამდებარე მუხლით განსაზღვრული სასჯელები ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში სხვა არასისხლისსამართლებლივი სანქციებისა თუ ზომების მოქმედების შეფერხების გარეშე შეიძლება იქნას გამოყენებული და მათ შეიძლება თან ახლდეს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნება.

მუხლი 11

იურიდიული პირების პასუხისმგებლობა

- წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იურიდიულმა პირებმა მე-9 მუხლში მითითებული დანაშაულის ჩადენისთვის პასუხი აგონ, იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული დანაშაული იმ პირის მიერ სარგებლის მისაღებად იქნა ჩადენილი, რომელსაც აღნიშნულ ორგანიზაციაში წამყვანი თანამდებობა უკავია და რომელიც ინდივიდუალურად ან აღნიშნული ორგანიზაციის კონკრეტული ორგანოს სახელით მოქმედებდა:

(ა) იურიდიული პირის მინდობილობის საფუძველზე;

(ბ) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლების საფუძველზე; ან

(გ) იურიდიული პირის შიდა კონტროლის უფლებამოსილების საფუძველზე.

- წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ იურიდიულმა პირმა იმ შემთხვევაშიც აგოს პასუხი, როდესაც 1-ელ პუნქტში აღნიშნული პირის მიერ

არასათანადოდ განხორციელებული ზედამხედველობის ან კონტროლის შედეგად ამ იურიდიული პირის სასარგებლოდ აღნიშნული პიროვნების დაქვემდებარების ქვეშ მომუშავე ადამიანის მიერ მე-9 მუხლში ნახსენები სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა გახდა შესაძლებელი.

3. წინამდებარე მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში აღნიშნული იურიდიული პირის პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს სისხლისსამართლებლივ დევნას იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც მე-9 მუხლში აღნიშნული დანაშაულის ჩამდენები, ხელშემწყობები ან თანამონაწილეები არიან.

მუხლი 12

იურიდიული პირებისთვის განკუთვნილი სასჯელები

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა მე-11 მუხლის ფარგლებში პასუხისმგებელი იურიდიული პირის დასჯა ეფექტური, პროპორციული და პრევენციული სასჯელებით მოხდეს; ამ სასჯელებში შეიძლება მე-7 მუხლში მოცემული ზომებიც იგულისხმებოდეს.

წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გადაწყვიტონ, რომ გასაჯაროვდეს იმ დამსაქმებელთა სია, რომლებიც იურიდიულ პირებს წარმოადგენენ და რომლებსაც მე-9 მუხლის მიხედვით სისხლისსამართლებლივი პასუხისმგებლობა დაეკისრათ.

მუხლი 13

საჩივრების ხელშეწყობა

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეფექტური მექანიზმები, რომელთა მეშვეობით უკანონოდ დასაქმებული მესამე ქვეყნის მოქალაქეები მათი დამსაქმებლების წინააღმდეგ საჩივრების შემოტანას როგორც პირდაპირ, ისე წევრი სახელმწიფოების მიერ გამოყოფილი მესამე მხარეების (მაგალითად, პროფკავშირები ან სხვა ასოციაციები, ან წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო, თუ ამას ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს) მეშვეობით შეძლებენ.
2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მესამე მხარეებს, რომლებსაც თავიანთი ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად წინამდებარე დირექტივის შესრულების ლეგიტიმური ინტერესი აქვთ, უკანონოდ დასაქმებული მესამე ქვეყნის მოქალაქის სახელით ან მის მხარდასაჭერად და მისი ნებართვით ნებისმიერ იმ ადმინისტრაციულ ან სამოქალაქო სამართალწარმოებაში ჩართვის საშუალება ჰქონდეთ, რომლებიც წინამდებარე დირექტივის მიზნების აღსრულებისთვის არსებობს.

3. მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის საჩივრების შემოტანაში დახმარების გაწევა უკანონოდ შესვლის, ტრანზიტისა და ბინადრობის ხელშეწყობის შესახებ ევროკავშირის 2002 წლის 28 ნოემბრის 2002/90/EC დირექტივით განსაზღვრულ უკანონო ბინადრობის ხელშეწყობად არ უნდა ჩაითვალოს (¹³).
4. რაც შეეხება მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებს, წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა დაადგინონ ის პირობები, რომელთა არსებობისას მათ, ინდივიდუალურ შემთხვევებში, ეროვნული სამართალწარმოების ვადების შესაბამისად, ქვეყანაში ბინადრობის მოკლევადიანი ნებართვების გაცემა შეუძლიათ მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებზე, რომლებიც 2004/81/EC დირექტივის მოქმედების სფეროში ექცევიან.

მუხლი 14

შემოწმება

1. ქვეყანაში არალეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების გაკონტროლების მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა საკუთარ ტერიტორიებზე ეფექტური და სათანადო შემოწმებები უნდა ჩაატარონ. ამგვარი შემოწმება, პირველ რიგში, რისკების შეფასებაზე უნდა იყოს დაფუძნებული, რომლებსაც წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები ადგენენ.
2. შემოწმებების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, რისკების შეფასების საფუძველზე, წევრმა სახელმწიფოებმა რეგულარულად უნდა გამოავლინონ ის სფეროები, რომლებშიც ქვეყანაში არალეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების დასაქმება ყველაზე ხშირად ხდება.

ამ სფეროებთან დაკავშირებით, წევრმა სახელმწიფოებმა ყოველი წლის 1-ელ ივლისამდე ევროკომისიას წინა წელს ჩატარებული შემოწმებების შედეგების შესახებ ანგარიშები უნდა მიაწოდონ, რომლებიც თითოეულ სფეროში უკანონოდ დასაქმებულთა აბსოლუტურ და პროცენტულ ოდენობებს მოიცავს.

მუხლი 15

უფრო ხელსაყრელი დებულებები

წინამდებარე დირექტივა ხელს არ უშლის წევრ სახელმწიფოებს, მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომლებსაც წინამდებარე დირექტივის მე-6 და მე-13 მუხლები ეხება, უფრო ხელსაყრელი დებულებები მიიღონ და შეინარჩუნონ. თუმცა, ამ შემთხვევაში, აღნიშნული დებულებები წინამდებარე დირექტივას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

მუხლი 16

ანგარიშგება

1. 2014 წლის 20 ივლისამდე და მას შემდეგ, ყოველ სამ თვეში ერთხელ, ევროკომისიამ ევროპის პარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს უნდა წარუდგინოს ანგარიში, რომელშიც საჭიროების შემთხვევაში მე-6, მე-7, მე-8, მე-13 და მე-14 მუხლების შესწორებასთან დაკავშირებული წინადადებები იქნება წარმოდგენილი. თავის ანგარიშებში ევროკომისიამ განსაკუთრებული ყურადღება წევრი სახელმწიფოების მიერ ამ დირექტივის მე-6 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების შესრულებას უნდა დაუთმოს.
2. წევრმა სახელმწიფოებმა ევროკომისიას ამ მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული ანგარიშის შესადგენად საჭირო ყველა ინფორმაცია უნდა გაუზიარონ. აღნიშნული ინფორმაცია მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით ჩატარებული შემოწმებების რაოდენობასა და მათი შედეგებს, მე-13 და, რამდენადაც შესაძლებელია, მე-6 და მე-7 მუხლების ფარგლებში გატარებული ზომების შესახებ მონაცემებს უნდა მოიცავდეს.

მუხლი 17

წინამდებარე დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანა

1. წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთი კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული ნორმების წინამდებარე დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანა 2011 წლის 20 ივლისისთვის უნდა დაასრულონ და ამის შესახებ ევროკომისიას უნდა აცნობონ.
აღნიშნული ნორმების მიღებისას, მათში წინამდებარე დირექტივა უნდა იქნას აღნიშნული ან, ამ ნორმების ოფიციალურად გამოქვეყნებისას, წინამდებარე დირექტივაზე მითითება უნდა ახლდეს თან. აღნიშნული მინიშნების მეთოდი თავად წევრი სახელმწიფოების მიერ უნდა დადგინდეს.
2. წევრმა სახელმწიფოებმა ევროკომისიას მათ მიერ წინამდებარე დირექტივის მოქმედების სფეროსთან დაკავშირებით მიღებული ეროვნული კანონ(ებ)ის ძირითადი დებულებების ტექსტი უნდა მიაწოდონ.

მუხლი 18

დირექტივის ამოქმედება

წინამდებარე დირექტივა „ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში“ მისი გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს შევა ძალაში.

მუხლი 19

ადრესატები

წინამდებარე დირექტივის ადრესატებს წარმოადგენენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი შეთანხმების შესაბამისად.

([1](#)) OJ C 204, 9.8.2008, გვ. 70.

([2](#)) OJ C 257, 9.10.2008, გვ. 20.

([3](#)) [►C1](#) ევროპის პარლამენტის მიერ 2009 წლის 19 თებერვალს დაფიქსირებული მოსაზრება (რომელიც „ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში“ ჯერ არ გამოქვეყნებულა) და ევროკავშირის საბჭოს 2009 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება.

([4](#)) OJ L 105, 13.4.2006, გვ. 1.

([5](#)) OJ L 248, 16.9.2002, გვ. 1.

([6](#)) OJ L 203, 1.8.2002, გვ. 1.

([7](#)) OJ L 261, 6.8.2004, გვ. 19.

([8](#)) OJ L 18, 21.1.1997, გვ. 1.

([9](#)) OJ C 321, 31.12.2003, გვ. 1.

([10](#)) OJ L 281, 23.11.1995, გვ. 31.

([11](#)) OJ L 16, 23.1.2004, გვ. 44.

([12](#)) OJ L 134, 30.4.2004, გვ. 114.

([13](#)) OJ L 328, 5.12.2002, გვ. 17.